სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/50

ქ. თბილისი

18 თებერვალი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვარის N01-05-04/21 დადგენილებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანების 2020 წლის 18 იანვრის სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის N10 ოქმის საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაუქმდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვარის N01-05-04/21 დადგენილებით საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი;

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდური მედიის საშუალებაში და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
3. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე